



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N43

2023 წელი; 19 დეკემბერი; 10:30 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჯოლიანი (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

ავთანდილ ცინცაძე

აკაკი ალადაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

არჩილ გორდულაძე

ლილე ლიპარტელიანი

დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.


სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჯოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
7. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
10. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.406) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით



პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ;

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩის მე-4 შესახვევის N5-ში, (საკადასტრო კოდი: N81.08.21.463.01.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრორაიონის, კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N7-ში, (საკადასტრო კოდი: N81.08.14.370.01.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. „ქალაქ თბილისში, მუხიანის მე-4ბ მიკრორაიონის კორპუს N40-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.008.007.01.500ბ) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;


15. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.12.011.006.01.5016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N24-ში მდებარე 194.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. „ქალაქ თბილისში, გორკის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.036.038.01.003, N01.16.06.036.038.01.004 და N01.16.06.036.038.01.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



20. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 84.28 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.022.003.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

21. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, კორპუსი N8-ში არსებული 33.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.003.009.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

22. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

23. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N21-ში (საკადასტრო კოდი N01.11.04.005.004.01.075) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

24. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.026.024) 26 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანნა აიწურაძისთვის (პ/ნ: 01008026120) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ: 01010000361) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

26. „ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N36-ის მიმდებარედ არსებული ორი ერთეული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: N01.10.14.012.207; N01.10.14.012.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ერთი ყავასთვის“ (ს/ნ: 435894212) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

27. „ქალაქ თბილისში, წინანდლის შესახვევის №11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.130.104) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრისთვის“ (ს/ნ. 405247950) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფიტალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ.

თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებითა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2023 წლის 29 სექტემბერს „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფითალის“ (ს/ნ: 405447903) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

29. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩის ბოლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6111 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.206) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.188, ფართობი - 1 518 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

32. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

33. “შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის



მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.



მოხმინეს:

1. გაიოზ თალაკვაძემ და ლევან მიქავამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნეს, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - პირველ საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, დედაქალაქის საკრებულოში, წარმოდგენილია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებით დამტკიცებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებას.


მომხსენებლებმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში დაგეგმილ ცვლილებათა შესახებ საუბრისას, აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შემუშავებულია, მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით, პროექტით ბიუჯეტის მოცულობა რჩება უცვლელი და შეადგენს 1 826 328,8 ათას ლარს, მათ შორის, საბიუჯეტო პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე შემდეგი სახით გადანაწილებით:

✓ პროექტით იზრდება:

- გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში – 20,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში – 30,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია) – 29 962,1 ათასი ლარით; ღონისძიებების უზრუნველყოფა პროგრამის ასიგნებები - 6 442,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები - 700,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში - 1,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში - 67,9 ათასი ლარით, ისნის რაიონში - 180,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში - 128,7 ათასი ლარით; მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა - 50,0 ათასი ლარით; ქ.თბილისის საკრებულო - 600,0 ათასი ლარით და სარეზერვო ფონდი - 300,0 ათასი ლარით.

✓ პროექტით მცირდება:

- გზების მშენებლობა და აღდგენა – 13 497,9 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში – 300,0 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 3 946,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია - 6 608,9 ათასი ლარით, საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები - 290,3 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 1 388,6 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში – 196,3 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში – 298,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში – 40,3 ათასი ლარით, ვაკის რაიონში – 20,0 ათასი ლარით; ავარიული სახლების ჩანაცვლება - 804,2 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები - 2 100,0 ათასი ლარით; ბიზნესის სტიმულირება 200,0 ათასი ლარით; შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა - 10,0 ათასი ლარით; თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 205,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში - 67,9 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა



ნამალადევის რაიონში - 19,4 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში - 118,2 ათასი ლარით, ისნის რაიონში - 180,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში - 22,5 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში - 18,5 ათასი ლარით და მთაწმინდის რაიონში - 182,3 ათასი ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში - 159,9 ათასი ლარით; გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში - 2,8 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში - 39,1 ათასი ლარით; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - 50,0 ათასი ლარით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა - 6 605,5 ათასი ლარით; მერიის ადმინისტრაცია - 1 359,1 ათასი ლარით; გლდანის რაიონის გამგეობა - 113,5 ათასი ლარით; კრწანისის რაიონის გამგეობა - 12,0 ათასი ლარით.

ლევან მიქავას მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 688 534,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით, ამასთან, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 628 434,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

✓ გადასახადები 884 569,6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 208 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 26 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი - 16 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი - 634 569,6 ათასი ლარი;

✓ გრანტები 456 112,8 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 557,8 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 15 000,0 ათასი ლარი;

✓ სხვა შემოსავლები 287 752,2 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან - 20 743,9 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 60 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 111 747,7 ათასი ლარი; მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 3 700,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 18 095,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები - 8 465,6 ათასი ლარი.

მოხსენების მიწურულს, ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 826 328,8 ათასი ლარით და ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 109 380,8 ათასი ლარით, ამასთან, დასძინა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. გაიოზ თალაკვაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, აღნიშნული დადგენილების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის ტიპური დებულების თანახმად, თბილისის რაიონის გამგეობის ერთ-ერთ უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის შესაბამის რაიონში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის უზრუნველყოფა, თუმცა, საქართველოს კანონში „საქართველოს თავდაცვის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების თანახმად, ის უფლებამოსილებები, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), გამგეობის მიერ განხორციელება 2024 წლის 1 იანვრამდე, ხოლო საქართველოს კანონის „საქართველოს თავდაცვის კოდექსის“ შესაბამისად, ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებებს განხორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, გარდა იმისა, რომ დებულება შესაბამისობაში მოდის ზემოაღნიშნულ, საკანონმდებლო ცვლილებებთან, მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის უზრუნველყოფა აღარ იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობის უფლებამოსილება, ასევე, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი აღარ გაითვალისწინებს სამხედრო განყოფილებას, აგრეთვე, ცვლილების პროექტით, გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების ძირითად ფუნქციებს ემატება:

- ✓ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა;
- ✓ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო ცნობებზე დასაშვებ თანამდებობათა ნომენკლატურის შემუშავება; საიდუმლო ცნობებზე დასაშვებ პირთა გაფორმების უზრუნველყოფა, დაშვების გასაფორმებლად მასალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის დროულად წარდგენა და დაშვების მოქმედების ვადებზე კონტროლის გაწევა;
- ✓ გამგეობის მოსამსახურეთათვის/თანამშრომელთათვის, საიდუმლო ინფორმაციასთან მუშაობის საკითხებში კონტროლისა და მეთოდურ-საკონსულტაციო დახმარების გაწევა;

მომხსენებელმა დასძინა, რომ ხსენებული პროცესების თანმდევად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, 2023 წლის 12 ნოემბრის ბრძანებით, დაიწყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების - თბილისის რაიონის გამგეობების რეორგანიზაცია, ასევე, დაამატა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად



განისაზღვრება 2024 წლის პირველი იანვარი, ხოლო, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

3. ლევან მიქავამ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 დადგენილების პროექტის მსგავსად, მიზნად ისახავს, მოქმედი ნორმატიული აქტის - მოცემულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-3 დადგენილების, საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-3 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია ახორციელებს სამობილიზაციო ღონისძიებების მართვას, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სამობილიზაციო საქმიანობის, მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და მათ სამხედრო სამსახურში გაწვევის, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში სამოქალაქო თავდაცვის საქმიანობის კოორდინაცია ხორციელდება ადმინისტრაციის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის, საიდუმლო-სამობილიზაციო სამსახურის მეშვეობით, თუმცა, საქართველოს კანონში „საქართველოს თავდაცვის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების თანახმად, ის უფლებამოსილებები, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), მუნიციპალიტეტის მიერ, აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება 2024 წლის 1 იანვრამდე, ხოლო, საქართველოს კანონის „საქართველოს თავდაცვის კოდექსის“ შესაბამისად, ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებებს განხორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ღონისძიების გათვალისწინებით, დადგენილების პროექტის თანახმად, ადმინისტრაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი აღარ გაითვალისწინებს საიდუმლო-სამობილიზაციო სამსახურს, ხოლო ადმინისტრაციას ფუნქციებს დაემატება, ამავე სამსახურისათვის დებულებით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებათა უზრუნველყოფის ფუნქციები, ამასთან, ადმინისტრაციის ლოჯისტიკის სამსახურს ემატება მშვიდობიან პერიოდსა და ექსტრემალური სიტუაციების დროს, სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა უზრუნველყოფის ფუნქცია, კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში,

ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია - 2024 წლის 1 იანვარი და მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, 2023 წლის 12 ნოემბრის ბრძანებით დაიწყო, როგორც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების - თბილისის რაიონის გამგეობების, აგრეთვე, ადმინისტრაციის რეორგანიზაცია.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკური თვალსაზრისით გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

4. ლევან მიქავამ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც მისივე განმარტებით, ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების პროექტის მიღებას, რომლის ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი არის შემდეგი სამართლებრივი ღონისძიება:

- “საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 2024 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1330 (ერთიათასსამასოცდაათი) ლარის ოდენობით, შესაბამისად ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გადამრავლდეს საბაზო თანამდებობრივ სარგოზე 1330 (ერთიათასსამასოცდაათი) ლარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოთითხსნილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ადგილი აქვს შემდეგი ახალი ნუსხათა ჩამონათვალის დამტკიცებას:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი), მერის მოადგილეების და მერიის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად;

- ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად;
- გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამტატო ნუსხა დანართი 3-ის შესაბამისად;
- დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 4-ის შესაბამისად;
- ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 5-ის შესაბამისად;
- ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 6-ის შესაბამისად;
- ზ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 7-ის შესაბამისად;
- თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 8-ის შესაბამისად;
- ი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 9-ის შესაბამისად;
- კ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 10-ის შესაბამისად;
- ლ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 11-ის შესაბამისად;
- მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა დანართი 12-ის შესაბამისად.

მომხსენებელმა ასევე გააცნო კომისიის წევრებს, დადგენილების მოქმედ რედაქციასთან შედარებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სამტატო ნუსხებში განსახორციელებელი ცვლილებები, რაც ძირითადად განპირობებულ იქნა, “საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 2024 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა საბაზო თანამდებობრივი სარგოს - 1330 (ერთიათასსამასოცდაათი) ლარის ოდენობით, დადგენის გათვალისწინებით, შემდეგი სახით:

1. დანართი N1-ის შესაბამისად წარმოდგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი), მერის მოადგილეების და მერიის ადმინისტრაციის სამტატო ნუსხა იზრდება 2 ერთეულით და ხდება 117 სამტატო ერთეული;
2. დანართი N2-ის სახით წარმოდგენილ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხაში, ჯამური თვალსაზრისით, საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა იზრდება 2 ერთეულით;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხა იზრდება 4 ერთეულით და შეადგენს - 70 ერთეულს;
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის სამტატო ნუსხაში, ჯამურად იმატებს 4 ერთეულით და განისაზღვრება 31 ერთეულით;
5. რაოდენობრივად უცვლელი დარჩა შემდეგი საქალაქო სამსახურების ნუსხები:
 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია;



- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის პირველი იანვარი, ამასთან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში და პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან, ხოლო, დადგენილების პროექტის დამტკიცება გამოიწვევს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №20-119 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

გადაწყვეტეს:


განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ლევან მიქავამ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების თაობაზე დადგენილების პროექტი, რომლის მომზადება, მისივე განმარტებით, განპირობებულ იქნა, როგორც უკვე აღინიშნა, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 2024 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს - 1330 (ერთი ათას სამას ოცდაათი) ლარის ოდენობით, განსაზღვრის ღონისძიებიდან გამომდინარე.

მომხსენებლის განმარტებით, გარდა იმისა, რომ მომზადებული პროექტი ითვალისწინებს, დადგენილების მოქმედი რედაქციის, ზემომითითებულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, ამასთან, წარმოდგენილ პროექტში უკვე გათვალისწინებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის



გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით შესატანი ცვლილებები და გამგეობების სამტატო ნუსხებიდან ამოღებულია სამხედრო განყოფილება, ამასთან, პროექტის დანართის თანახმად, ყველა გამგეობას საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილებას ემატება მესამე რანგის პირველი კატეგორიის თითო სპეციალისტი.

მოხსენების მიწურულს, ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2023 წლის 1-ლი იანვარი, ხოლო, მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან, ვინაიდან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. თამარ ბერუაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წეს-“ ში (დანართი №3) მიმწოდებლად განსაზღვრის განსაკუთრებული წესის დადგენას შემდეგი შინაარსის 9¹ მუხლის დამატებით:

- „განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, უფლებამოსილია მიმწოდებლად განსაზღვროს დაწესებულება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმწოდებლისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.“

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, უფლებამოსილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის (კოდი: 06 01 06)“ მიმწოდებლად ჩართვის ნება მისცეს დაწესებულებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ისეთ სავალდებულო კრიტერიუმებს, როგორებიცაა ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების სულ მცირე 1 წლიანი გამოცდილების ქონა და 1 წლის

განმავლობაში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე სულ მცირე 20 ბავშვისათვის მომსახურების უწყვეტად მიწოდება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

მომხსენებლისვე განმარტებით, აღნიშნული კრიტერიუმები არ ითვალისწინებს ახალი სამედიცინო დაწესებულებების ჩართვას ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად, მაშინაც კი, როდესაც დაწესებულების პერსონალს აქვს ბენეფიციარებისთვის მომსახურების უწყვეტად მიწოდების მრავალწლიანი გამოცდილება, ხოლო, ახალი სამართლებრივი ფორმით სამედიცინო ცენტრის ჩამოყალიბება შეუძლებელს ხდის მომსახურების განხორციელების 1 წლიანი გამოცდილების არსებობის დადგენას, რადგან, აღნიშნული ხორციელდებოდა სხვა საფირმო სახელწოდების და იურიდიული პირის მიერ.

თამარ ბერუაშვილმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ვინაიდან, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებში ვლინდება აუტიზმის ძირითადი ნიშნებსა და სიმპტომებს მიკუთვნებული სოციალური ინტერაქციისა და კომუნიკაციის სირთულეები და ცვლილებებისადმი რეზისტენტობა, მოსარგებლებს/მათი კანონიერი წარმომადგენლებს ინტერესში შესაძლოა შედიოდეს ისეთ მულტიდისციპლინურ გუნდთან ურთიერთობის გაგრძელება, რომელთანაც მოსარგებლეს აქვს გარკვეული ტიპის მიჯაჭვულობა, შესაძლოა სწორედ აღნიშნული ფაქტორით იყოს განპირობებული სამედიცინო დაწესებულების ქვეპროგრამაში ჩართვა, ხოლო, ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი მიმდინარე წლის სექტემბერში, როცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა მრავალპროფილურმა დაწესებულებამ „ბავშვის განვითარების ინსტიტუტმა“ შეწყვიტა ფუნქციონირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაკვეთით მომზადებული დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტის C კორპუსი არ აკმაყოფილებს სეისმომედეგი ნაგებობის მოთხოვნებს და ავარიულია, შედეგად, გაჩნდა აღნიშნული დაწესებულების ბენეფიციარებისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზების საჭიროება, რათა არ წარმოიშვას შეფერხება ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში და არ შეიზღუდოს ბენეფიციართა უფლებები.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2023 წლის 5 დეკემბრიდან სს „ვექსის კლინიკების“ (ს/კ 405327427) მიერ იხსნება და მის მართვის ქსელში შედის ახალი სამედიცინო დაწესებულება „კარავი“ - ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი. აღნიშნული ცენტრი, მოემსახურება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის“ ბენეფიციარებს, ქვეპროგრამის - ფარგლებში, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ცენტრის პერსონალი თითქმის სრულად დაკომპლექტებული იქნება ყოფილი „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის“ პროფესიონალი თერაპევტებით, რომელთაც აქვთ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების შესაბამისი გამოცდილება.

თამარ ბერუაშვილმა დასძინა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის სხდომაზე მომხსენებელმა ითხოვა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვროს მ/წლის 5 დეკემბერი, რაც გაიზიარა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ და მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის შემდეგი სახით ჩამოყალიბება:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 5 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.“

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

7. ოთარ ჩიტინემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მიზნად ისახავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-40 მუხლის 11¹ პუნქტის შემდეგი სახით ჩამოყალიბებას:

„11¹. ამ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი რეგულირება არ გავრცელდეს იმ განაშენიანების რეგულირების გეგმებზე, რომელთა კორექტირება განხორციელებულია ამ პუნქტის ამოქმედებამდე არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში, ან 2019 წლის 20 მარტამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საფუძველზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის/ პროექტის კორექტირების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია 2021 წლის 31 დეკემბრამდე და ჯერ არ დასრულებულა. აღნიშნულ შემთხვევაში, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე არქიტექტურული პროექტი უნდა შეთანხმდეს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.“

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული ცვლილება გულისხმობს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ვადის ცვლილებას, ამასთან, აღნიშნული ვადა ვრცელდება იმ ადმინისტრაციულ წარმოებებზეც, რომლებიც მიმდინარეობს 2019 წლის 20 მარტამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საფუძველზე, ასევე, ვინაიდან, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შესაძლებელია მოიცავდეს ხანგრძლივ ვადას (სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, ტერიტორიაზე არსებული ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრება პოზიციები და ა.შ) წარმოდგენილი ცვლილებით განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების საბოლოო თარიღი, ნაცვლად 2023 წლის 31 დეკემბრისა, განისაზღვრება - 2024 წლის 31 დეკემბრით.

ოთარ ჩიტიძემ დასძინა, რომ დადგენილება ამოქმედდება, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

8. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოში რეორგანიზაციის პროცესის დაწყებას, ხოლო, აღნიშნული პროექტის მომზადება, მომხსენებლისვე განმარტებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოში სტრუქტურის განახლების და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადასაცემად, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა, აღნიშნულ სსიპ-ებში რეორგანიზაციის პროცესის დაწყების საჭიროება.

მარიამ კვერნაძის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 06 დეკემბრის №35 სხდომის ოქმის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაევალით საქმისწარმოების ფუნქციების „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადაცემის მიზნით რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, ხოლო, აღნიშნული სამართლებრივი პროცესებისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემის მიზნით, მომზადებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 14 დეკემბრის განკარგულება და წარმოდგენილი პროექტი, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში რეორგანიზაციის დაწყებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნის - პროექტის სათაურში დადგენილების ნაცვლად - განკარგულების მითითების თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა დამტკიცებულიყო არაუგვიანეს 2022 წლის 21 სექტემბრისა, თუმცა განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 3 მაისის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205 და N206 განკარგულებებით, შესაბამისად, კომპანიის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მითითებული ვადები, აქვე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 9 ივნისის განკარგულებების საფუძველზე, კომპანიას ეპატია პირგასამტეხლო დაახლოებით 516 000 ლარის ოდენობით, გრგ-ს დამტკიცების ვადის 8 თვის დაგვიანებით გამო, ამასთან, ამავე განკარგულებების საფუძველზე სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შეიცვალა ხელშეკრულების 3.4 და 3.5 პუნქტებით გათვალისწინებული ვადებიც.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიის მიერ მშენებლობის ნებართვა აღებულ იქნა ოთხი დღის დაგვიანებით (19 აგვისტოს ნაცვლად 24 აგვისტოს), რის გამოც კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო, საბანკო გარანტიის: 2 000 000 ლარის 0,1% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების 6.1.3 პუნქტის შესაბამისად, რაც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 8000 ლარს, ამასთან, კომპანიის მიერ, კოოპერატივის წევრების/მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემ ფართებზე განშლის რეგისტრაცია განხორციელდა 49 დღის დაგვიანებით (24 ოქტომბრის ნაცვლად 13 დეკემბერს), რისთვისაც კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო, საბანკო გარანტიის: 2 000 000 ლარის 0,1% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების 6.1.3 პუნქტის შესაბამისად, რაც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 98 000 ლარს, აგრეთვე, მხარეებს, შორის 2023 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება გადმოსაცემ ფართებზე უნდა დარეგისტრირებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, თუმცა მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი დამატებითი ფართების განშლის რეგისტრაცია განხორციელდა 28 დღის დაგვიანებით, რისთვისაც კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 100 (ასი) ლარის ოდენობით, (2023 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულების 3.3 პუნქტი) რაც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 2800 ლარს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანიას ჯამურად ეკისრება პირგასამტეხლო დაახლოებით 108 800 (ას რვა ათას რვაასი) ლარის ოდენობით, რის გამოც, პირგასამტეხლოს პატიების თხოვნით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ვალდებულებების დარღვევის მიზეზად მიუთითა, შემდეგი გარემოებანი:

- ადმინისტრაციული ორგანოებისგან პასუხების დაგვიანება;
- კომპანიის მიერ განშლის რეგისტრაციის ეტაპზე, სააგენტომ რამდენიმე კოოპერატივის წევრს, მის წინაშე არსებული სახელმწიფო ვალის დაფარულად მიჩნევის გამო, შეუწყვიტა ხელშეკრულება, რომელიც ზოგიერთმა მათგანმა გაასაჩივრა სასამართლოში და სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება. ამ პროცესის აღსრულებისა და განშლის რეგისტრაციის პროცესის შეფერხების თავიდან არიდების მიზნით, სააგენტოსა და საჯარო რეესტრს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რასაც ასევე, რამდენიმე კვირა დასჭირდა.

მომხსენებლისვე მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია სს „გრინ ქეფიტალის“ პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. მარიამ კვერნაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 29-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩის ბოლოს არსებული 6111 კვ. მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 984 372 (ცხრაას ოთხმოცდაოთხი ათას სამას სამოცდათორმეტი) პრივატიზებას, შპს „ბიოსფერო“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. თბილისში, ფაღავას ქუჩის დასაწყისში არსებული 1810 კვ. მ მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, 2022 წლის 23 ივნისს შპს „ბიოსფეროს“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ფაღვას ქუჩის დასაწყისში, კომპანიის საკუთრებაში არსებული 1810 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა, იმ მიზეზით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა ზემოაღნიშნული ტერიტორიის გამწვანება, რის შედეგადაც მისი სამშენებლოდ განვითარება შეუძლებელი გახდა. მან აქვე დაამატა, რომ ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი ინფორმაციით, N01.17.01.010.002 საკადასტრო ერთეულზე მოწყობითი სამუშაოები განახორციელა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა, მითითებული ტერიტორია წარმოადგენს ავლაბრის მოედნის მიმდებარედ არსებული სკვერის ნაწილს, რაიონის ცენტრალურ სარეკრეაციო ზონას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სივრცეს, შესაბამისად, გამგეობას აღნიშნული ნაკვეთის ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი პოზიცია არ გააჩნია.

მომხსენებლის მითითებით, 2023 წლის 13 ივლისს შპს „ბიოსფეროს“ დირექტორმა განცხადებით თანხმობა გამოხატა ფასთა შორის სხვაობის შემთხვევაში საპრივატიზებო საფასურის გადახდაზე, ამასთან, საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა და კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიიჩნია N01.18.06.014.206 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზება და სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ფაღვას ქუჩის დასაწყისში არსებული 1810 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა, ხოლო, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრებით.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 2 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შპს „ბიოსფეროს“ საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ფაღვას ქუჩის დასაწყისში არსებული 1810 კვ.მ საბაზრო ღირებულება, 2022 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, შეადგენს 3 303 250 (სამი მილიონ სამას სამი ათას ორას ორმოცდაათ) ლარს, ხოლო, ამასთან, 2023 წლის 12 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩის ბოლოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6111 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 12 ივნისის მდგომარეობით, შეადგენს 3 984 372 (სამი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაოთხი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარს.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ სააგენტოს მიერ შპს „ბიოსფეროს“ ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და შპს „ბიოსფეროს“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ფასს (3 000 000



ლარს) შორის სხვაობა (984 372 (ცხრაას ოთხმოცდაოთხი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარი), განისაზღვრება როგორც საპრივატიზებო საფასური, რასთან დაკავშირებითაც, კომპანიამ წერილობით გამოხატა თანხმობა და გამოთქვა მზაობა შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, გადაიხადოს საპრივატიზებო საფასური - 984 372 (ცხრაას ოთხმოცდაოთხი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარს ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარის შექმნა და შენარჩუნება, ხოლო N01.17.01.010.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მოწყობილია სკვერი და სარეკრეაციო სივრცე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა, N01.18.06.014.206 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით საპრივატიზებო საფასურის 984 372 (ცხრაას ოთხმოცდაოთხი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და პროექტის სათაურის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

30. ნინო ზაგაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 30-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^მ მუხლით დადგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით დადგენილი ხელშეწყობი ღონისძიებების საფუძველზე ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.



მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით დაინტერესებულმა პირმა N01.19.20.004.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.4), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=5.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

მომხსენებლისვე განმარტებით, განმცხადებლის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.4-დან კ-2=5.4-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 11 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას, ასევე, მოთხოვნილია, დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში კორექტირებული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, ამასთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 174 305 ლარს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხოლო, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ამასთან, გასათვალისწინებელია, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წერილობითი ინფორმაცია, ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე გადამეტების შესაბამისი ფასზე, რაც შეადგენს 266,887.50 (ორას სამოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი და ორმოცდაათი მესედი) ლარს.

წინო ბაგაშვილმა დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით განისაზღვრება შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების საკითხი:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2=4.4 დან კ-2=5.4 მდე;

▪ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

▪ დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 266,887.50 (ორას სამოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი და ორმოცდაათი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდეზე;

▪ დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, აღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითებისა და პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე, ასევე, პროექტის მე-6 პუნქტის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების საკითხებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგა“ დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ნინო ბაგაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 31-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39³ მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშემწყობის მიზნით, დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის

ნაკვეთთან (ფართობი - 1518 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლისვე განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით დაინტერესებულმა პირმა N01.17.10.001.188 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სსიპ - არქიტექტურის სამსახურის ბრძანებებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, დადგენილია ინდივიდუალური პარამეტრები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.3), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, ამასთან, ითხოვა, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.3-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 9 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას, ასევე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 2 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 007 047 ლარს, ხოლო, ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხოლო, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წერილობითი ინფორმაციით, ქალაქ თბილისში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე გადამეტების შესაბამისი ფასი შეადგენს 322,255.04 (სამას ოცდაორი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი და ოთხი მეასედი) ლარს, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქ თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით, განისაზღვრება შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების საკითხი:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2=2.5 დან კ-2=3.3 მდე;

- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 322,255.04 (სამას ოცდაორი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი და ოთხი მეთასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდეზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითებისა და პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე, ასევე, პროექტის მე-5 პუნქტის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების საკითხებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ნინო ბაგაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 32-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 393 მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშემწყობის მიზნით, დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი

ლონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ N01.17.07.017.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რაზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, ასევე, მოთხოვნილ იქნა, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.4-მდე და დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 385 798 ლარს, ხოლო, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, ბექა ფხაკაძის მიერ ქალაქ თბილისში, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 896 კვ.მ) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 6.1-მდე გადამეტების შესაბამისი ფასი შეადგენს 1,476,792.00 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას შვიდას ოთხმოცდათორმეტი) ლარს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა და ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, N01.12.12.005.015 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა:

▪ ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=6.1-მდე;

▪ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

▪ დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,476,792.00 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას შვიდას ოთხმოცდათორმეტი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების სახაზინო კოდზე;

▪ დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს განსაზღვრული გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითებისა და პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე, ასევე, პროექტის მე-5 პუნქტის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების საკითხებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 33-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი, საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, “შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - დაუმთავრებელი მშენებლობების კომისია) განცხადებებით მიმართეს შპს „იქსორმა“, შპს „იქსორი წერეთელზე 2“-მა, ამხანაგობა „წერეთელი 2007“-მა და ამხანაგობა „წერეთელი 19“-მა და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, დამთავრებელი მშენებლობების კომისიამ 2023 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე განიხილა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება და წარდგენილი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც ირკვევა, რომ:

- მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ა. წერეთლის გამზირი N23-25 მდებარე სამშენებლო ობიექტების ფარგლებში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისა და დაზარალებულთა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს მიენიჭა დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N379 განკარგულება).
- ზემოთაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობის განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებით დადგინდა ქალაქმშენებლობითი პირობები. არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის ბრძანებით განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დადგინდა და მისამართებზე - ქ. თბილისი, ფოთის ქ. N 12-14, , ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ა. წერეთლის გამზირი N23-25 - არსებული სამი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მიმართ;
- საპროექტო არეალის ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25, ქ. თბილისი, ფოთის ქ. N14/ქ. თბილისი, ფოთის ქ. N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალფუნქციურიშენობა-ნაგებობის მშენებლობის მიზნით;
- 2014 წლის 7 ივლისის №1369819 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზირი, №23-25; ქალაქი თბილისი, ქუჩა ფოთი, N 14 / ქალაქი თბილისი, ქუჩა ფოთი, №12, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნით ბათილად იქნა ცნობილი;
- საპროექტო არეალის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.07.008.003), არქიტექტურული პროექტი არ შეთანხმებულა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარმოდგენილი განკარგულების მიხედვით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და არსებული მშენებლობის ნებართვის ფარგლებში:

- მისამართებზე - ქ. თბილისი, ფოთის ქ. N14, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ა. წერეთლის გამზირი N23-25 - მდებარე მიწის ნაკვეთებზე უნდა განხორციელდებოდა ადგილობრივ მაცხოვრებელთა არსებული საცხოვრებელი ფართების დემონტაჟი და პროექტით გათვალისწინებული მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდა მხოლოდ ნაწილობრივი დემონტაჟი და 2 არასრული მიწისზედა კონსტრუქციის მშენებლობა. ნაწილობრივი დემონტაჟის გამო 25-ზე მეტი ოჯახი დღემდე ცხოვრობს ქირით;



- მისამართებზე - ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ა. წერეთლის გამზირი N23-25 - ს/კ; №01.13.07.008.003, და №01.13.07.008.002 არის სადემონტაჟო საცხოვრებელი (ამ ეტაპზე ავარიული) სახლების ნაწილი), რომლის ფარგლებში ყოფილ ინვესტორსა და დაზარალებულ პირებს შორის დადებულია წინარე ნასყიდობის არანოტარიული ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით ადგილობრივ მაცხოვრებლებს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართების დათმობის სანაცვლოდ, უნდა მიეღოთ ამავე მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში ფართები. ამასთან მისაღები ფართების კვადრატულობები ბევრად/არაგონივრულად აღემატება ფაქტობრივი მდგომარეობით საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართების კვადრატულობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, განხორციელდა სადემონტაჟო საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების აზომვა და დადგინდა ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული ფართის სახით გასაცემი ვალდებულება. თუმცა, დაზარალებულები (იგულისხმება სადემონტაჟო საცხოვრებელი სახლების მოსახლეობა) სამშენებლო პროცესის განახლებისა და მშენებლობის დასრულებისთვის თანხმობას აცხადებენ კუთვნილი/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების დათმობის სანაცვლოდ (სადემონტაჟო ნაწილი) მიიღონ 30%-ით გაზრდილი ფართები. სხვა შემთხვევაში ისინი არ წარადგენენ თანხმობას მშენებლობის არცერთ ეტაპზე;

- განმცხადებლის ინფორმაციით დაზარალებული პირებისთვის ფართის სახით გასაცემი ვალდებულება ჯამურად შეადგენს 10428.566 კვ.მ-ს.

მომხსენებლის მითითებით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია მისამართებზე ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 არსებული საცხოვრებელი ფართების აზომვითი ნახაზები, ამასთან, განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართებსა და კრების ოქმით გათვალისწინებულ ფართებს შორის არის ცდომილება არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან მიმართებით. კერძოდ, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და კრების ოქმით გათვალისწინებული ფართები ნაკლებია რეალურად, აზომვით დადასტურებულ ფართებთან შედარებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს ვალდებულებების განსაზღვრისას, საჯარო რეესტრის და კრების ოქმის მონაცემებთან შეუსაბამობის შემთხვევებში, გათვალისწინებული იქნეს აზომვითი ნახაზებით დადასტურებული კვადრატულობა.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის აპარატის მიერ დადასტურებული იქნა ფართის სახით გასაცემი ვალდებულება - ჯამურად 8686.9 კვ.მ-ის ოდენობით, მათ შორის:

- ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 12-ის“ თავმჯდომარეს, ნოდარ გოგავასა და ფიზიკურ პირებს შორის დადებული წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულებების მიხედვით გასაცემი ფართი - 2650 კვ.მ;
- სადემონტაჟო ნაწილის აზომვითი ნახაზების მიხედვით გასაცემი ფართი 4115.88 კვ.მ;
- საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საკუთრებად რეგისტრირებული ფართი - 244.36 კვ.მ;
- ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის კრების ოქმების საფუძველზე - 96.66 კვ.მ;

▪ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 12-ის“ თავმჯდომარეს ნოდარ გოგავას მიერ ვალდებულების აღიარების საფუძველზე -1580 კვ.მ.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ გაიზიარა განმცხადებლის პოზიცია აზომვით ნახაზებთან დაკავშირებით და იმ შემთხვევებში, როდესაც აზომვითი ნახაზებით დადასტურებული საცხოვრებელი/არასაცხოვრებელი ფართის კვადრატულობა აღემატება საჯარო რეესტრის ამონაწერით მიხედვით რეესტრირებულ/კრების ოქმში მითითებული იგივე ფართის კვადრატულობას, გათვალისწინებული იქნა აზომვითი ნახაზით დაფიქსირებული ფართი, თუმცა, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ კომისიამ არ გაითვალისწინა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 12-ის“ თავმჯდომარეს ნოდარ გოგავას და ფიზიკურ პირებს შორის დადებული წილის უფლების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები.

მომხსენებლის მითითებით, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის გამოყენებული იქნეს ხელშემწყობი ღონისძიებები, ამდენად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, შპს „იქსორი წერეთელზე 2“-ს წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტიტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხელშემწყობი ღონისძიებები გამოყენებული იქნას მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25, არსებული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემთხვევაში, გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 19.0-ით;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1)-ის განისაზღვროს 0,8 -ით;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს 0.1-ით;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები;
- მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის შესაბამისად ფართების დათვლის პრინციპი განისაზღვროს „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001წ. 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად;
- „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილება გავრცელდეს ნაწილობრივ, საცხოვრებელ ბინებში არ იყოს გათვალისწინებული ავტოსაშხეფი სისტემები;
- ავტოსადგომების მოწყობისათვის განკუთვნილი საერთო ფართი არ უნდა იყოს 12 400 კვ.მ.-ზე ნაკლები;
- ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, სარეალიზაციო ფართების განკარგვა და



უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2023 წლის 11 დეკემბრის N18 სხდომის ოქმში მითითებულ დაზარალებულთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ (არანაკლებ შენობა-ნაგებობის კარკასულ მდგომარეობამდე მოყვანის შემდეგ, რაც თავის მხრივ გულისხმობს შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დასრულებულ მდგომარეობას). ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

▪ ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ამ განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში და ფიქსირდებოდეს შესაბამისი უძრავი ნივთების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ;

▪ იმ შემთხვევაში თუ შპს „იქსორი წერეთელზე 2“ ზემოაღნიშნულ სამშენებლო პროექტის სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფს საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ, შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ს მიეცეს უფლება, ამავე პროექტის განხორციელების მიზნით, კომერციული ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს მის საკუთრებაში (ან მის უფლებამონაცვლე პირის, ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირის საკუთრებაში) რეგისტრირებული სარეალიზაციო ფართები გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2023 წლის 11 დეკემბრის N18 სხდომის ოქმით გათვალისწინებული დაზარალებული პირებისათვის გადასაცემი ფართებისა, ჯამურად არანაკლებ 8686.9 კვ.მ;

▪ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შპს „იქსორი წერეთელზე 2“-ს (ან მის უფლებამონაცვლე პირს, ან მის/მათ მიერ უფლებამოსილ პირს) სრულად შეეზღუდოს მიწის ნაკვეთის და მის საკუთრებაში არსებული ყველა ფართის გასხვისება/განკარგვა მთლიანი სამშენებლო ფართობის არანაკლებ 20%-ის ე.წ. კარკასულ მდგომარეობაში (რაც გულისხმობს შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დასრულებულ მდგომარეობას) მოყვანამდე. აღნიშნული შეზღუდვა გაუქმდეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თანხმობით, მთლიანი სამშენებლო ფართობის არანაკლებ 20%-ის ე.წ. კარკასულ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ, რაც დადასტურდება



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ლევან ჟორჯოლიანი

სხდომის მდივანი

თამთა კაკობიძე